



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი

2021



მიმდინარე კონკურსები

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი;
2. პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი;

დასრულდა:

1. დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი;
2. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსი;
3. მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი;



„აუზი“



„მშენიერი ელენე“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჯერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი“ (პროდიუსერი – შპს „ჯემინი“, რეჟისორი – ბაკუ ბაკურაძე).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი – შპს „ს.ს.ს.“, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი – რატი ჯებაშვილი).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, (პროდიუსერი – შპს „კედარი“, რეჟისორი -- ირინე ჟორდანიძე).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – ჯორჯ სიხარულიძე).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – კახა კიკაბიძე).
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „განგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);



„ფრენცის სასადილო“



„დიდი შესვენება“

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ქაღალდის თვითმფრინავი“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions), რეჟისორი – თამთა მანაგაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამაღლება“ (პროდიუსერი -- 20 სტეფს პროდაქშენი, რეჟისორი -- გიორგი თავართქილაძე).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუმი“ (პროდიუსერი -- შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი -- თედო დოლიძე).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასულუმი“, რეჟისორი – ლევან სიხარულიძე).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი -- შპს „ახალი ქართული ფილმი“ ნ. აბრამაშვილი, რეჟისორი – გ. ანთიძე).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე).
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიციხიან დღეებს“ (პროდიუსერი – ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი ფარქოსაძე).

- ▶ დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – ლანა ლოლობერიძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი – სოფიო მედოიძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი – ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – ერეკლე ინაშვილი).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე იოსებ დუმბაძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს“ (პროდიუსერი – შპს „ფორმო“, რეჟისორი – მაკა გოგოლაძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მჩხიბავი“ (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდია“, რეჟისორი ანა კვიჭიძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი – ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი – ანა ბარჭაძე).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა“ (პროდიუსერი შპს „პალესტრა“, რეჟისორი – თემურაზ ცაავა).


გადაღების პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარი-ატი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“ (Film Asylum), რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალპოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);

- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „ექო ფილმს“ (EcoFilms), რეჟისორი – ნიკა წიკლაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშარია;
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი) (პროექტი პრობლემურია)
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირეფიქტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – ს.ს. „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს ნ&ნ (N&N), რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდო“, რეჟისორი – რუსუდან ჯყონია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭრიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „ასილუმი“ (Film Asylum), რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);



„როცა 17 წლის ხარ„



„ჩატვირთვა„

- ▶ ანიმაციური ფილმი „განდგეილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეთრეველი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);

- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი – შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი – ვალ ხარიტონაშვილი);

დასრულდა

- დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ (ააიპ „სპარკ“, რეჟისორი – ალექსანდრე ქორიძე);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – ააიპ „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი – ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“, რეჟისორ/ანიმატორი – ანა ჩუბინიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი – შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი);
- ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“; (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions) რეჟისორი – ცოტნე რუსიშვილი).
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სიჩუმის დარღვევა“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – ელენე ნავერიანი);



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ „მეათე მოწმე“ (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იტს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე.);
- ▶ „მამა აბრამის ბატკანი“ (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ „კაი ბიჭები“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions), რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ „ქალაქის ეკრანი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „აქტმედია“, რეჟისორი – თამარ მშვენიერაძე, სცენარის ავტორი – თამარ მშვენიერაძე);
- ▶ „გაკორტება“ (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- ▶ „უოლდენი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი);
- ▶ „ნინო და ილიკო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენი“, სცენარის ავტორი – მაკა კუკულავა-ფუასიე);
- ▶ „სიმონ ჯაშის ცხოვრება“ (პროდიუსერი – შპს „კლოუნ კო“, სცენარის ავტორი – დიმიტრი მამულია);
- ▶ „დედუკი ჩელისა და ვიოლინოსათვის“ (პროდიუსერი – შპს „არტ სტუდია 24“, სცენარის ავტორი – თამარ ბართაია).

- ▶ „დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“, სცენარის ავტორი – გურამ ბაქრაძე).
- ▶ „კახაბერი“ (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი გეთიაშვილი“, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი).
- ▶ „ვია იმედი“ (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე).
- ▶ „ლომის ახალი ფაფარი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე „ანა ჩუბინიძე“).
- ▶ „ოჰ! დედა, დედა“ (პროდიუსერი – შსგ „გლაბერ“, რეჟისორი – ხათუნა ტატუაშვილი);
- ▶ „იფიქრე ნაკლები“ (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „ქეთევან ჭანელიძე“, რეჟისორი – ლევან ყუფარაძე);
- ▶ „როცა გადამფრენი ჩიტები სახლს ტოვებენ“ (პროდიუსერი – ააიპ „ლეველ2 ფილმს, რეჟისორი – ნათია არაბული-ვეგერი);
- ▶ „ცით დაკავებული კაცი“ (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, რეჟისორი – ალექსანდრე ნავერიანი);
- ▶ „ჩემი დაკარგული სხეული“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე).

კინოფესტივალები და ჯილდოები



„რას ვხედავთ როდესაც ცას ვუყურებთ?“

ალექსანდრე კობერიძის არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმი „რას ვხედავთ როდესაც ცას ვუყურებთ?“ დაჯილდოვდა ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმს გადაეცა „ვერცხლის ჰიუგო“ საუკეთესო სცენარისტვის.

მალევე ფილმმა კიდევ ერთი პრიზი მოიპოვა სევილიის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც საუკეთესო ოპერატორის ჯილდო გადაეცა ფარაბ ფეშარაკის.



„მეოთხე ბრაიტონი“

ლევან კოლუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ლოს ანჯელესში, აზიური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა.

„მეოთხე ბრაიტონის“ ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიუ იორკში, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი საქართველოს, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის კოპროდუქციაა. „მეოთხე ბრაიტონის“ ერთ-ერთი თანაპროდიუსერია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო თანადამფინანსებელი საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“.



„დასაწყისი“

დეა კულუმბეგაშვილის ფილმ „დასაწყისი“ მრავალ საერთაშორისო ჯილდოს კიდევ ორი პრიზი შეემატა

- მთავარი ჯილდო საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის იტალიაში, კინოფესტივალზე Linea d'Ombra;
- კინოდაჯილდოვება EAST — WEST. GOLDEN ARCH-ის ჯილდო საუკეთესო დებიუტისთვის.

„დასაწყისი“ გადაღებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში – ლაგოდეხსა და გარშემო სოფლებში. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. იგი საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა.



ქართული ფილმები საერთაშორისო კინოფესტივალზე DOK Leipzig

დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების 64-ე საერთაშორისო ფესტივალზე DOK Leipzig 25-31 ოქტომბერს გაიმართა.

ნელს კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო 2 ქართული ფილმი:

საერთაშორისო საკონკურსო პროგრამაში შედგა მარადია ცაავას დოკუმენტური ფილმის პრემიერა სახელწოდებით „წყალს საზღვრები არ აქვს“. ფილმში მოქმედება ენგურჰესის თაღოვან

კაშხალზე ვითარდება, სადაც შემთხვევით მოხვედრილი ჟურნალისტი აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საზღვრის გადალახვას ცდილობს. ფილმის მწარმოებელი კომპანიაა OpyoDoc -ი.

ასევე, დოკ ლაიფციგის კინოფესტივალზე, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსში შედგა მარიამ კაპანაძის ანიმაციური ფილმის გერმანული პრემიერა (მხატვარი ირაკლი ტოკლიკიშვილი, პროდიუსერი მარიამ კანდელაკი). ანიმაციის მსოფლიო პრემიერა გაიმართა იაპონიაში, ჰოკაიდოს საერთაშორისო კინოფესტივალზე და მას შემდეგ „მიტოვებული სოფელი“ არაერთ ქვეყანაში დაჯილდოვდა.

დოკლაიფციგის კინოფესტივალზე წარმოდგენილი ორივე ქართული ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ DOK Co-Pro Market-ზე წარმოდგენილი იყო ელენე მიქაბერიძის ფილმის პროექტი „ოცნება კადილაკზე“. ინდუსტრიულ პლატფორმაზე პროექტები 36 ქვეყნიდან შეირჩა.



კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალი

კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კინოლონისძიებად მიიჩნევა, წელს 2-7 ნოემბერს ჩატარდა.

კინოფესტივალის მთავარ კონკურსში წარმოდგენილი იყო ლევან კოლუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“, რომელსაც ფესტივალზე სამი ჯილდო გადაეცა:

- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – ლევან თედიაშვილი;
- ფიპრესის ჯილდო;
- ეკუმენური ჟიურის პრიზი;


აღსანიშნავია, რომ კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში შედგა ლუკა ბერაძის ფილმის ევროპული პრემიერა. ფილმი სახელწოდებით „ბოდიში დაგვიანებისთვის“ ფართო აუდიტორიამ პირველად ბაკურიანის კინოფორუმის ფარგლებში იხილა, სადაც დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ზაგრების საერთაშორისო კინოფესტივალი

ხორვატიაში, ზაგრების მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო სექციაში წარმოდგენილი იყო გვანცა მეფარიშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი სახელწოდებით „ნომერი 26“.

„ნომერი 26“ ეროვნული კინოცენტრის, „მილიმეტრ ფილმის“, „ზუჩი ფილმისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია, რომელზე მუშაობაც 2 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. პროდუსერი – სილიკო წულუკიძე, გაყიდვების საერთაშორისო აგენტი – „ლაიტს ონ ფილმ“.

ფილმის პრემიერა შედგა შვედეთში, უპსალას მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. ჩვენებას ესწრებოდნენ შვედეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ხუცურაული და უპსალას მერი ევა ედვარდსონი.



მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალი

ვაჟიკო ჩაჩხიანის ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში.

ფილმი სახელწოდებით „ფუტკრის დაცემა“ მაყურებელმა 18 და 21 ოქტომბერს იხილა.

„ფუტკრის დაცემა“ შექმნილია „ნუში ფილმის“ მიერ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



გენტის საერთაშორისო კინოფესტივალი/ ვიენალე

19 ოქტომბერს გენტის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს ელენე ნავერიანის ფილმი „სველი ქვიშა“. ჩვენებები ასევე გაიმართა 20 და 21 ოქტომბერს.

ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა აგვისტოს თვეში ლოკარნოს (შვეიცარია) საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა გია აგუმავა.

აღსანიშნავია, რომ გენტის საერთაშორისო კინოფესტივალის შემდეგ ელენე ნავერიანის ფილმი „სველი ქვიშა“ აჩვენეს ვიენალეზე. ჩვენებები გაიმართა 22 და 24 ოქტომბერს.

„მიტოვებული სოფელი“

ქართული ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ დაჯილდოვდა კანადაში, ოტავას ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. ფილმს გადაეცა ჯილდო საუკეთესო დიზაინისთვის.

- მხატვარი: ირაკლი ტოკლიკიშვილი
- რეჟისორი: მარიამ კაპანაძე
- პროდიუსერი: მარიამ კანდელაკი

აღსანიშნავია, რომ 10 დეკემბერს ფილმს კიდევ ერთი ჯილდო Premio Manfredo Manfredi გადაეცა სარდინიის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფესტივალი „ხიდი: ციურიხი-თბილისი“

1 ოქტომბერს ქალაქ ციურიხში გაიხსნა ქართული კულტურის ინტერდისციპლინარული ფესტივალი „ხიდი: ციურიხი-თბილისი“. ფესტივალის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით „კინოპოდუმი“ (Kino Filmpodium) გაიმართა ქართველი ქალი რეჟისორების ფილმების რეტროსპექტივა შემდეგი პროგრამით:

1. „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ და „ატლანტი“ (რეჟისორი ნანა ჯორჯაძე);
2. „ოქროს ძაფი“, „ვალსი პეჩორაზე“ და „რამოდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (რეჟისორი ლანა ლოლობერიძე);
3. „გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი);
4. „კრედიტის ლიმიტი“ (რეჟისორი ნუცა ალექსი-მესხიშვილი);
5. „სხვისი სახლი“ (რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე);
6. „დედე“ (რეჟისორი მარიამ ხაჭვანი);
7. „დასაწყისი“ (რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი);
8. „ჰორიზონტი“ (რეჟისორი თინათინ ყაჭრიშვილი);
9. „საშიში დედა“ (რეჟისორი ანა ურუშაძე);



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალი ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ფიზიკური დასწრებით 5-12 დეკემბერს ჩატარდა.

წელს კინოფესტივალზე მთავარი აქცენტი ქართულ ფილმებზე გაკეთდა. ქართული ფილმების საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იყო 9 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 9 დოკუმენტური და 18 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ:

- საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი – „ოთარის სიკვდილი“ – რეჟისორი სოსო ბლიაძე
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „ტვირთი“ – რეჟისორი მირანდა ნამიჭიშვილი
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – „მოთვინიერება“ – რეჟისორი სალომე ჯაში და „დიდება დედოფალს“ – რეჟისორები თათია სხირტლაძე, ანა ხაზარაძე.
- სამსახიობო გუნდი – „პაპანაქება“ (რეჟისორი თორნიკე გოგრიჭიანი)
- განათება და კამერა – „სასტუმრო მირაჟი“ (რეჟისორი გურამ ბაქრაძე)
- მსახიობი ლევან თედიაშვილი – „მეოთხე ბრაიტონი“ (რეჟისორი ლევან კოლუაშვილი)
- მსახიობი მარინე ყუბანეიშვილი – „რატომ ვართ ერთად“ (რეჟისორი ილო ღლონტი)
- "სველი ქვიშა" (რეჟისორი ელენე ნავერიანი)

საკონკურსო პროგრამის გარდა, ფესტივალზე მაყურებელს შეეძლო ევროპული და მსოფლიო კინოს საუკეთესო ნამუშევრების ნახვა შემდეგ სექციებში:

1. ევროპული კინოს ფორუმი
2. პორიზონტები
3. ამერიკები
4. დამზადებულია გერმანიაში
5. ამბოხი კინოში
6. სპეციალური ჩვენებები
7. აპოლო: კინომეხსიერება
8. ანიეს ვარდას რეტროსპექტივა
9. მასტერკლასები

ასევე, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში შედგა 90-წამიანი ფილმების კონკურსი სახელწოდებით DepicT!. კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ:

- I ადგილი – მთის სიმღერა; რეჟ. ნატა სოფრომაძე
- II ადგილი – ომის ქრონიკები; რეჟ. ვახტანგ ქანთარია
- III ადგილი – თამაში; რეჟ. გვანცა სარაშვილი



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიაზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები კონკურსისა „წერე ქართულ კინოზე“, რომელიც კინოცენტრის მხარდაჭერით ყოველწლიურად ტარდება.

- I ადგილი – ანი კილაძე. ანის დაუფინანსდება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე დასწრების, აკრედიტაციის, მგზავრობის, დღიური და სასტუმრო ხარჯები. თუ ფესტივალი პანდემიის მიზეზით გადაინაცვლებს ონლაინ სივრცეში, სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ამ ფორმატში ფესტივალზე დასწრებისთვის საჭირო აკრედიტაციით.
- II ადგილი – ელისაბედ ალფაიძე. ელისაბედი მიიღებს სწავლის ერთი წლის საფასურს სტიპენდიის სახით.
- III ადგილი – აბესალომ დარასელია. აბესალომი მიიღებს სწავლის ერთი სემესტრის საფასურს სტიპენდიის სახით.




თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი

30 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანი“ გაიხსნა თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ფილმით The Crossing. The Crossing მრავალი ჯილდოს მფლობელი ფილმია, რომელიც საფრანგეთი-ჩეხეთი-გერმანიის კოპროდუქციაა.

კინოფესტივალის წლევანდელი გამოშვებისთვის შეირჩა 190-ზე მეტი ფილმი 46 ქვეყნიდან. ფილმების ჩვენების გარდა, ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ციფრული ვიზუალური ხელოვნების გამოფენა Tbilisi Digital Art Exhibition და მასტერკლასები.

თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი მეოთხედ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის წლევანდელ გამოშვებაზე ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა ქართულმა ანიმაციამ „ბოლემია“ (რეჟისორი ნანა სამანიშვილი).



ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“

საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“ წელს მეცამეტედ ჩატარდა. იგი ბათუმში 25-30 ოქტომბერს ონლაინ გაიმართა.

ფესტივალზე ტრადიციულად წარმოდგენილი იყო ათეულობით ანიმაციური ფილმი არაერთი ქვეყნიდან. ჟიური დაკომპლექტებული იყო კინემატოგრაფისტებით საქართველოდან, შვეიცარიიდან, ისრაელიდან, ესტონეთიდან და ირანიდან.

ფესტივალის მთავარი ჯილდო გადაეცა გერმანულ ფილმს სახელწოდებით „ბოლო წვეთამდე“ (რეჟისორი საიმონ შნელმანი).



ევროპული კინოდაჯილდოვება

ევროპის კინოაკადემიის დაჯილდოვების ცერემონია ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელსაც ევროპაში წლიდან წლამდე დიდი ინტერესით ელიან. იგი ევროპული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრებს აფასებს. ფილმებს ხმას აძლევს ევროპის კინოაკადემიის 4000-ამდე წევრი, გამარჯვებულები ვლინდება 25 კატეგორიაში.

წელს ევროპულ კინოდაჯილდოვებას ქართველი ნომინანტები ყავდა.

არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი ფილმით „დასაწყისი“ წარადგინეს ნომინაციაში EUROPEAN DISCOVERY 2021 – Prix FIPRESCI. ამ ნომინაციაში ჯილდოვდებიან რეჟისორები მათი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმებისთვის. „დასაწყისის“ მსოფლიო პრემიერა სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ტრიუმფით და სამი მთავარი ჯილდოს მიღებით დასრულდა. ფილმი ასევე შეირჩა კანის კინოფესტივალის მთავარ სელექციაში. „დასაწყისი“ ნაჩვენებია არაერთ ქვეყანაში ა კლასის კინოფესტივალებზე.

აღსანიშნავია, რომ ნომინანტების განსაზღვრაში ევროპული კინოაკადემიის ბორდის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქართველმა პროდიუსერმა ვლადიმერ კაჭარავამ.

დოკუმენტური ფილმების სექციის ნომინანტებს შორის დასახელდა სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“. „მოთვინიერება“ შვეიცარია-გერმანია-საქართველოს კოპროდუქციაა. ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალზე. მალევე იგი ასევე აჩვენეს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში „ფორუმი“. მას შემდეგ „მოთვინიერება“ არაერთ პრესტიჟულ კინოფესტივალზე შეირჩა და რამდენიმე საერთაშორისო ჯილდოც მოიპოვა.

ASIA PACIFIC SCREEN AWARDS

ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში ტრადიციულად გაიმართა ASIA PACIFIC SCREEN AWARDS, რომელსაც წელს 2 ქართველი ნომინანტი ყავდა:

საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში წარდგენილი იყო დეა კულუმბეგაშვილი ფილმისთვის „დასაწყისი“, ხოლო საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდოსთვის – ლევან თედიაშვილი ლევან კოლუაშვილის ფილმისთვის „მეოთხე ბრაიტონი“.

ASIA PACIFIC SCREEN AWARDS 2007 წლიდან იმართება „იუნესკოსა“ და კინოპროდიუსერთა საერთაშორისო ასოციაციების თანამშრომლობით.

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე ლევან კოლუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ გახდა

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე ლევან კოლუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ გახდა. გადამწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის საფუძველზე კვალიფიციური ფილმების ნახვის შემდეგ 12 ოქტომბერს მიიღო. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ:



- მერაბ ნინიძე
- ნანა ექვთიმიშვილი
- დეა კულუმბეგაშვილი
- კონსტანტინე ჩლაიძე
- გიორგი ოვაშვილი
- რატი ონელი
- ლევან კიტია
- ვლადიმერ კაჭარავა
- ალექსანდრე გაბელია
- გიგიშა აბაშიძე
- ია სუხიტაშვილი
- ირაკლი სოლომანაშვილი
- მარიამ ჭაჭია
- თამთა გაბრიჩიძე

ამერიკის კინოაკადემიის 2022 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ქართული ფილმი იბრძოლებდა:

1. „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“ – რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე
2. „პერსონა #2“ – რეჟისორი ნინო ბასილია
3. „მეოთხე ბრაიტონი“ – რეჟისორი ლევან კოლუაშვილი

სწორედ ამ სამი ფილმიდან შეარჩია კომისიამ საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე.

- 25 დეკემბერს გაიმართა ალექსანდრე კობერიძის ფილმის „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“ ქუთაისური პრემიერა. ჩვენების შემდეგ მოენყო შეხვედრა რეჟისორთან და შემოქმედებით ჯგუფთან.
- 23 დეკემბერს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა ლევან კოდუაშვილის არაერთი საერთაშორისო ჭილდოს მფლობელი ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“.
- 23 ნოემბერს მალმოს უნივერსიტეტში აჩვენეს ზაზა ხალვაშის ფილმი „ნამე“ ფილმის დასრულების შემდეგ მაყურებელი ონლაინ შეხვდა „ნამეს“ ოპერატორ გიორგი შველიძესა და ზაზა ხალვაშის შვილს, პროფესორ თამთა ხალვაშს.
- 17 ნოემბერს ბერლინში, კინო „კროკოდილში“ შედგა მარადია ცაავას დოკუმენტური ფილმის „წყალს საზღვრები არ აქვს“ და მარიამ კაპანაძის ანიმაციური ფილმის „მიტოვებული სოფელი“ ჩვენებები.
- 5 ნოემბერს, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის – გიორგი თავართქილაძის ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმის – „ცუდი ხალხისა“ და „ერთი საათის“ ჩვენებები. ღონისძიებას დაესწრო დანიის სამეფოში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული კახაბერ შიშნიაშვილი. რეჟისორი გიორგი თავართქილაძე კი დამსწრე აუდიტორიას ონლაინ, ვიდეო ჩართვის დახმარებით შეუერთდა.
- ღია საზოგადოების და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით, ნოემბერ-დეკემბერში, დასავლეთ საქართველოს 5 ქალაქში (ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ამბროლაური) შედგა სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმის ჩვენება სახელწოდებით „მოთვინიერება“.
- 8 ოქტომბერს ტოკიოში გაიმართა ლანა ღოღობერიძის ფილმი „ოქროს ძაფის“ დახურული ჩვენება, რომელსაც იაპონელი კინოკრიტიკოსები, ჟურნალისტები და კინოხელოვნების სფეროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. ჩვენებაზე ასევე იმყოფებოდა იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი თეიმურაზ ლეჟავა.

ქართული კინოპროექტები ინდუსტრიულ კლასტორებსა და კინობაზრობებზე

- ანა ბარჯაძის დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ ადამი მედიის ფიჩინგ ფორუმის გამარჯვებული გახდა. ფილმი იქმნება ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით კომპანია 17/07-ის მიერ, პროდიუსერი – ირინა გელაშვილი.
- ელენე ნავერიანის ფილმის პროექტმა „შაშვი შაშვი მაყვალი“ ჰიუბერტ ბალსის ფონდის გრანტი მოიპოვა. ფილმი თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების წიგნის ეკრანიზაცია იქნება.
- ელენე მიქაბერიძის ფილმის პროექტი „ოცნება კადილაკზე“ საერთაშორისო კინოფესტივალ DOK Leipzig-ის კოპროდუქციის ბაზრობაზე Current Time TV-ის ჭილდოს მფლობელი გახდა!
- რუსუდან პირველის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამ ნახტომში“ დაჯილდოვდა სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ აგორას პროფესიულ შეხვედრებზე.

ეროვნული კინოცენტრი 20



ეროვნული კინოცენტრი 20 წლის გახდა!

ამ წლების მანძილზე შექმნილია 350 ფილმი, ქართული ფილმები ნაჩვენებია 1600 კინოფესტივალზე, ქართველ კინემატოგრაფისტებს მიღებული აქვთ 400 საერთაშორისო ჭილდო, ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინაცია. კინოცენტრი ზრუნავს კინომემკვიდრეობის მოფრთხილებასა და სამშობლოში დაბრუნებაზე, მხარს უჭერს კინოგამოცემებს, კინოგანათლების პოპულარიზაციას, ადგილობრივი კინოფესტივალების ჩატარებასა და საქართველოში კინოგადაღებების წარმოებას.

წლის ბოლოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ ქართველ კინემატოგრაფისტებს წარუდგინა პრეზენტაცია ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის, მიღებული შედეგებისა და დასახული სამომავლო გეგმების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე ასევე მოხდა ჟურნალ „კინ-ო“-ს მესამე ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალის რედაქტორები არიან კინომცოდნეები თეო ხატიაშვილი და გიორგი რაზმაძე.



20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე ეროვნულმა კინოცენტრმა საზოგადოებას შესთავაზა ღონისძიებათა ციკლი, რომელიც 1920-იანი წლების ქართულ კინოს მიეძღვნა.

20 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ არქივში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია სახელწოდებით „1920-იანი წლების ქართული კინო“. წიგნი-ალბომი აერთიანებს საინტერესო სტატიებს გასული საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე ქართველი კინემატოგრაფისტების შესახებ, ფილმოგრაფიას, უნიკალურ ფოტოებსა და საარქივო მასალას. წიგნის რედაქტორები არიან კინომცოდნეები: ნინო მხეიძე და არჩილ შუბაშვილი.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ რეტროსპექტივა გახსნა ნიკოლოზ შენგელაიას ფილმმა „ელისო“ (1928). „ელისოს“ გარდა, მაყურებელს ერთი თვის მანძილზე შესაძლებლობა ჰქონდა პირველად ეხილა დიდ ეკრანზე 1920-იან წლებში შექმნილი და ახლა უკვე აღდგენილი ქართული ფილმები: „არსენა ჯორჯიაშვილი“, „არსენა ყაჩალი“, „ჯანყი გურიაში“, „სურამის ციხე“, „მამის მკვლელი“, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „ნორჩი მფრინავი“, „კრაზანა“, „ამოკი“, „ქალი ბაზრობიდან“, „მათი სამეფო“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გოგი რატიანი“, „უაილდ ვესტის მხედარი“, „უკანასკნელ საათს“, „საბა“, „ჩემი ბებია“, „გიული“, „იბრაჰიმი და გოდერძი“, „ჰოლტზე“. ფილმები მაყურებელს წარუდგინეს კინომცოდნეებმა: ირაკლი მახარაძემ, ლელა ოჩიაურმა, ნინო მხეიძემ და თეო ხატიაშვილმა.



რეტროსპექტივა დაიხურა 19 დეკემბერს ივანე პერესტიანის ფილმით „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომელსაც წელს 100 წელი შეუსრულდა. კომპოზიტორმა ნიკა ფასურმა სპეციალურად ფილმისთვის დაწერა მუსიკა, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა სეანსის დროს ცოცხლად შეასრულეს.

წიგნის პრეზენტაციისა და რეტროსპექტივის გარდა, პროექტი „ქართული კინო 1920-1930“ მოიცავდა საჯარო ლექციების ციკლს, რომელიც ირაკლი ხვადაგიანი, ლაშა ბაქრაძე, ლევან კალანდარიშვილი, შოთა იათაშვილი და ირინე ჯორჯაძემ ეროვნულ არქივში 24 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით ჩაატარეს.



კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. ამ ეტაპზე რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდ“-იდან ჩამოტანილია 60-მდე ფილმი, აქედან აღდგენილია 34.

1920-1930 წლების რეტროსპექტივის მონაწილე ფილმები აღდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, გიორგი კაკაბაძის ხელმძღვანელობით. პროექტის პარტნიორები არიან ეროვნული არქივი და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.



10-17 ოქტომბერს „ტერა ინკოგნიტა ფილმის“ ორგანიზებითა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით თელავში, ზაირა არსენიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა სცენარის განვითარების რეზიდენცია. ახალი საგანმანათლებლო პროექტი მიზნად ისახავს უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან ერთად 6 მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარის განვითარებას.

შემოსული 30 პროექტიდან თელავის რეზიდენციის წლევანდელი გამოშვებისთვის შეირჩა შემდეგი 6 პროექტი:

1. „თავადის ქალი მაია“ – ავტორი მარგო ზუბაშვილი
2. „ცრემლსადენი გაზი“ – ავტორი უტა ბერია
3. „ერთი ცის ქვეშ“ – ავტორი ანასტასია ჭანტურაია
4. „კონტექსტიდან ამოჭრილი“ – ავტორი გიგი ჯანაშია
5. „სიჩუმის ქაღალდი“ – ავტორი ნინო შაბურიშვილი
6. „თეთრი ჩრდილები“ – ავტორი ნინო გოგუა

სამუშაო სესიები გაიმართა, როგორც ფიზიკური დასწრებით, ასევე ონლაინ რეჟიმში.

პროექტის მენტორები იყვნენ გამოცდილი და წარმატებული კინოპროფესიონალები, რომლებიც წლებია მოღვაწეობენ ამერიკასა და ევროპაში.



13 და 14 ნოემბერს USAID საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელშეწყობით, საქართველოს ანიმატორთა ასოციაციამ „საქანიმა“ გამართა ანიმაციის პირველი საერთაშორისო კონფერენცია – ანიმა თბილისი 2021. პროექტის მხარდამჭერია ეროვნული კინოცენტრი.

კონფერენციის მიზანია საქართველოს წარმოჩენა და დამკვიდრება ანიმაციის საერთაშორისო რუკაზე, ქართველი ანიმატორების პოტენციალის ჩვენება და მათთვის ისეთი ქვეყნების ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ევროპის ქვეყნები და ა.შ.

ღონისძიების ფარგლებში ქართველ ანიმატორებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცნოთ უცხოელი კოლეგები და მიეღოთ მონაწილეობა დარგის საუკეთესო სპეციალისტების მიერ გამართულ მასტერკლასებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ესპანელი კინემატოგრაფისტების სამუშაო ვიზიტი საქართველოში



6-10 დეკემბერს, ეროვნული კინოცენტრის მოწვევით თბილისს სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ ესპანელი კინემატოგრაფისტები.

ვიზიტის ფარგლებში, 7 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ პროექტის მონაწილე ქართველმა და ესპანელმა პროდიუსერებმა გამართეს პრეზენტაციები მათი საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ, შემდეგ კი გაიმართა მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.



ასევე, ესპანელმა პროდიუსერებმა გამართეს შეხვედრა ეროვნული კინოცენტრის დირექტორ გაგა ჩხეიძესთან და დაესწრნენ გაცნობითი ფორმატის ტურს ქართულ საპროდიუსერო სტუდიებში.

ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის პროგრამა EU4Business: Connecting Companies-ის მხარდაჭერით. პროგრამის მიზანია ევროკავშირის წევრ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარება.

პროექტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ქართველ და ესპანელ კოლეგებს შორის შედგა მადრიდში, Platino Industria forum-ზე, სადაც 10 ქართველი პროდიუსერი ეროვნული კინოცენტრისა და ესპანური ორგანიზაცია „ეხედას“ თანამშრომლობით გაემგზავრა.

შეხვედრა იაპონიის საელჩოს წარმომადგენელთან

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა იაპონიის საელჩოს წარმომადგენელს, ბატონ იასუ-ჰირო კოჯიმას უმასპინძლა.

შეხვედრაზე იაპონელმა სტუმარმა ისაუბრა „ქართული კინოს ფესტივალის“ შესახებ, რომელიც ტოკიოში ჩატარდება 2022 წლის 29 იანვარ-თებერვალში. ფესტივალის საკმაოდ მასშტაბურია: ერთი თვის მანძილზე 30 ქართული ფილმი იქნება ნაჩვენები, როგორც კლასიკა, ისე თანამედროვე ფილმები.

ქართული კინოს ფესტივალის პირველად 2018 წელს ჩატარდა და მიმდევრად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის და ქართული კინოს 110 წლის იუბილეს.

ფესტივალის კურატორი ბატონი ტაკეჰიდე ჰარადაა, რომელიც საქართველოს დიდი მეგობარია და წიგნიც აქვს დაწერილი ქართულ კინემატოგრაფზე. ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ტოკიოს ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრს – ივანამი-ჰოლს, სადაც არაერთხელ მოწყობილა ქართული ფილმების რეტროსპექტივა. ბატონი ჰარადა რამდენჯერმე სტუმრობდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს ქართული ფილმების შერჩევის მიზნით.

კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ და იასუჰირო კოჯიმამ განიხილეს ფესტივალის გამეორების შესაძლებლობა იაპონიის სხვა ქალაქებსა თუ რეგიონებში. ქალაქებმა კიოტომ, ოსაკამ, იოკოჰამამ და ტაკასაკიმ უკვე გამოთქვეს რეტროსპექტივის მასპინძლობის სურვილი.



შეხვედრა „ევროპალიას“ წარმომადგენელთან

ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ „ევროპალიას“ კურატორ დანიელ ბაუმანს უმასპინძლა და მასთან ერთად ფესტივალში ქართული კინოს ჩართვის შესაძლებლობები განიხილა.

„ევროპალია“ უდიდესი კულტურული მოვლენაა, რომელიც ბელგიაში ორ წელიწადში ერთხელ იმართება და არაერთ შემოქმედებით ღონისძიებას აერთიანებს.

პროექტის „კინო სკოლაში“ ზამთრის სეზონი ონლაინ ჩატარდა. შეირჩა 26 სკოლა, სადაც 15 ოქტომბრიდან გაიმართა 17 ონლაინ გაკვეთილი. პროექტში ჩართული იყო 15 კინოსპეციალისტი – „კინომისიონერი“.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი უკვე მეცხრე წელია წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge



**საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი**
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge



**საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო**